დანართი 3
თანალოკაცია

1 თანალოკაციის მომსახურება

1.1 ამ დანართით განისაზღვრება თანალოკაციის მომსახურების პირობები, კერძოდ „კანდიდატის“ დაშვება თანალოკაციის ფართზე მოწყობილობების (შემდგომში - „მოწყობილობები“) განთავსებისთვის, ენერგომომარაგებების, ვენტილაციის და გაგრილების ჩათვლით.

1.2 თანალოკაციის მომსახურებების საგანი (შემდგომში - „თანალოკაციის საგანი“) შეიძლება იყოს:

- გადამცემი ანძები ან ანტენის ანძები, მაგ., „კანდიდატის“ რადიო დაშვების ქსელის მოწყობილობის განთავსების მიზნით;
- შენობები ან შენობებში არსებული ფართები „კანდიდატის“ სატელეკომუნიკაციო ქსელის მოწყობილობის განთავსების მიზნით;
- სხვა ნაგებობები და ტერიტორიები, რომლებიც შედის 1.1 პუნქტის მოქმედების სფეროში.

1.3 წინამდებარე დანართის მიზანია „კანდიდატს“ მიეცეს შესაძლებლობა თანალოკაციის მომსახურებებით ისარგებლოს აუცილებელი ფართით და ამავე დანართის დამატებითი პირობების შესაბამისად ისე, რომ არ შეაფერხოს „მაგთიკომის ქსელის“ მთლიანობა ან სხვაგვარად ზიანი არ მიაყენოს „მაგთიკომის“ ქსელის ფუნქციონირების უსაფრთხოებას და „მაგთიკომის“ მიერ მისი სახელშეკრულებო პარტნიორებისთვის ან ბოლო მომხმარებლებისთვის მიწოდებულ მომსახურებებს.

1.4 თანალოკაციის მომსახურების მიწოდება განხორციელდება საკმარისი სიმძლავრის (მაგ., სტრუქტურული დატვირთვაუნარიანობის) ან საკმარისი ფართის არსებობის შემთხვევაში. „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს თანალოკაციის მომსახურების მიწოდებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია „მაგთიკომის“ ქსელის განვითარებისთვის/ გონივრული რეზერვების შენარჩუნებისთვის.

2 დაშვების პირობები

2.1 „მაგთიკომის“ და „კანდიდატის“ ქსელებს შორის ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული თანალოკაცია დაშვების წერტილებზე, რომლებიც უშუალოდ

მონაწილეობს „ეროვნული როუმინგის“ ან „MVNO მომსახურებების“ მიწოდებისთვის, რეგულირდება, შესაბამისი მომსახურების „ხელშეკრულებით“.

2.2 იმ „მოწყობილობების“ თანალოკაციის შემთხვევაში, რომლებიც წინა 2.1 პუნქტში არ არის მითითებული, გამოიყენება წინამდებარე დანართში განსაზღვრული პირობები.

2.3 „თანალოკაციის მომსახურებების“ დეტალური პირობები განისაზღვრება „თანალოკაციის საგანთან“ და „მოწყობილობებთან“ დაკავშირებით „კანდიდატის“ კონკრეტული მოთხოვნების საფუძველზე.

2.4 მომსახურების მიწოდების მოთხოვნისას, „კანდიდატი“ ვალდებულია წარადგინოს შეკვეთა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს „თანალოკაციის საგანი“ და სასურველი დასამონტაჟებელი „მოწყობილობები“ (შემდგომში - „შეკვეთა“).

3 „მოწყობილობების“ დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი

3.1 „მოწყობილობების“ დამონტაჟებას, „თანალოკაციის საგნის“ ტექნიკური მომსახურებასა და რემონტს ექსკლუზიურად ატარებს „მაგთიკომი“ ან შეთანხმებული პირები, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული მხარეთა მიერ.

3.2 „კანდიდატის“ საკუთრებაში არსებული მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების ან რემონტის შემთხვევაში, „კანდიდატის“ პერსონალისა და მათი სახელშეკრულებო პარტნიორების შესვლა რეგულირდება წინამდებარე დანართის მე-4 მუხლით. „კანდიდატის“ პერსონალსა და მათ სახელშეკრულებო პარტნიორებს არ აქვთ „თანალოკაციის საგნისთვის“ ან „მაგთიკომის“ ამ მესამე მხარეების საკუთრებაში არსებული შესაბამისი ობიექტებისთვის ხელის შეშლის, მათი მოდიფიცირების ან შეცვლის უფლება.

3.3 იმ შემთხვევაში, თუ „მოწყობილობების“ დამონტაჟება, ტექნიკური მომსახურება ან რემონტი საჭიროებს „მაგთიკომის“ მოწყობილობებში ან „თანალოკაციის საგანში“ ჩარევას, ასეთი სამუშაო განხორციელდება „მაგთიკომის“ ან მის მიერ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ „კანდიდატის“ ხარჯზე, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

3.4 თუ „მაგთიკომის“ მოწყობილობების ან „თანალოკაციის საგნის“ ელემენტების დამონტაჟების, ტექნიკური მომსახურების ან რემონტის გამო „კანდიდატის“

მხარეს წარმოიშობა ხარჯები, ასეთ ხარჯს გაიღებს „კანდიდატი“, რაც მაგალითად შეიძლება იყოს „მოწყობილობების“ აუცილებელი გადაადგილება.

3.5 თითოეული მონტაჟის/დემონტაჟის შემთხვევაში, გაფორმდება შესაბამის დოკუმენტი.

4 „თანალოკაციის საგანსა“ და „მოწყობილობებზე“ „კანდიდატის“ პერსონალის დაშვების უზრუნველყოფა

4.1 „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს „კანდიდატის“ წარმომადგენლების (სპეციალისტები, ტექნიკური პერსონალი) თანალოკაციის ფართზე დაშვებას „სამუშაო საათებში“.

4.2 დაშვება შესაძლებელია მხოლოდ „ოფერტით“ და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პროცედურების, ნებართვის ზედმიწევნით დაცვით. აკრძალულია „კანდიდატის“ მხრიდან „მაგთიკომის“ ნებართვების გარეშე თანალოკაციის ფართთან მისვლა და ნებისმიერი ქმედების განხორციელება.

4.3 „კანდიდატი“ ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელთაც ექნებათ „თანალოკაციის საგანთან“ დაშვების უფლება. ასეთ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ამასთან, „კანდიდატი“ აცნობიერებს, რომ მისი სპეციალისტის დაშვება ხორციელდება „კანდიდატის“ პასუხისმგებლობითა და რისკით, შესაბამისად, „კანდიდატი“ იქნება სრულად პასუხისმგებელი, როგორც მისი წარმომადგენლების ქმედებებზე, ასევე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ხოლო „ხელშეკრულების“ ან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ასევე „კანდიდატი“ იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს, „მაგთიკომის“ ან მესამე პირის წინაშე.

4.4 „კანდიდატის“ წარმომადგენლების დაშვებაზე და ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებაზე წინასწარ უნდა მიიღოს ნებართვა „მაგთიკომისაგან“. სამუშაო შესრულებულ უნდა იქნას ნებართვაში მითითებული პირობების და „მაგთიკომის“ წარმომადგენლის მითითებების ზედმიწევნით დაცვით (ასეთის არსებობისას).

4.5 „კანდიდატის“ წარმომადგენლების დაშვების ნებართვის მისაღებად, „კანდიდატმა“ მოთხოვნა უნდა გააგზავნოს შეთანხმებულ ელექტრონულ მისამართზე, ხოლო სპეციალური პორტალის/ინტერფეისის ფუნქციონირების

შემთხვევაში, ატვირთოს პორტალზე და უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:

4.5.1 იმ პირთა ჩამონათვალს (სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით), რომელმაც უნდა მიიღოს ნებართვა დაშვებაზე;

4.5.2 დაშვების მიზანს;

4.5.3 შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობას;

4.5.4 სამუშაოების დაწყების და დასრულების დროს;

4.5.5 4.8 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.5.6 „კომპანია“ ვალდებულია განუმარტოს მის წარმომადგენლებს, რომ „ხელშეკრულების“ მიზნებიდან გამომდინარე, „მაგთიკომი“ განახორციელებს მათი პერსონალური კერძოდ, მოთხოვნაში მითითებული და ასევე ინფრასტრუქტურასთან არსებული ვიდეომონიტორინგის ფარგლებში, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებას და მიიღოს თანხმობა ასეთი მონაცემების დამუშავებაზე. ამასთან, „მაგთიკომის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი ნებართვა.

4.6 დაშვების მოთხოვნა, „მაგთიკომის“ მიერ დამუშავდება 5 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში „მაგთიკომი“ გასცემს ნებართვას ან საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვს „კანდიდატს“ დამატებით ინფორმაციას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო იქნება ნებართვის გასაცემად. ნებართვაში სხვა პირობებთან ერთად მითითებული იქნება დაშვების თარიღი, დრო და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციფიკური პირობები. ნებართვაში, ასევე მითითებული იქნება საჭიროა თუ არა „მაგთიკომის“ წარმომადგენელთა დასწრება. წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.7 იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს „ხელშეკრულების“ ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებს ან „კომპანიას“ გააჩნია ვადამოსული დავალიანება „მაგთიკომის“ წინაშე, ნებართვა არ გაიცემა და „მაგთიკომი“ აცნობებს აღნიშნულის თაობაზე „კომპანიას“. „ხელშეკრულების“ გათვალისწინებული წესის დაცვით მოთხოვნის გამოგზავნამდე და დავალიანების დაფარვამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) / „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გაზრდამდე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ჩაითვლება, რომ „კომპანიის“ მხრიდან დაშვების მოთხოვნა არ განხორციელებულა

4.8 თუ „კანდიდატი“ ობიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე (მაგალითად, დაზიანების აღმოფხვრა), ითხოვს წარმომადგენლების დაუყოვნებლივ

დაშვებას, „კანდიდატი“ ვალდებულია მოთხოვნაში დამატებით მიუთითოს ასეთ გარემოებზე და დაასაბუთოს სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარების აუცილებლობა.

4.9 4.8 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, „მაგთიკომი“ გამოიყენებს ძალისხმევას გასცეს დაშვების ნებართვა 2 „სამუშაო დღის“ განმავლობაში.

4.10 ყოველ ჯერზე დაშვებისას „კანდიდატი“ ვალდებულია დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის და ინფორმაციული უსაფრთხოების, შესაბამის სახელმძღვანელოში მითითებული თუ სხვა ნორმები.

4.11 „მაგთიკომი“ უფლებამოსილია აუკრძალოს დაშვება კონკრეტულ ფიზიკურ პირ(ებ)ს, რომელიც დაარღვევს ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ შეასრულებს „მაგთიკომის“ წარმომადგენლის მითითებებს.

4.12 „კომპანია“ ვალდებულია დაშვების ნებართვის მიღების შემდგომ, დაშვების თარიღისა დადგომამდე გადაიხადოს დაშვების საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშვების ნებართვა ჩაითვლება გაუქმებულად. ამ შემთხვევაში, „კომპანია“ ხელახლა უნდა გაიაროს თანხმობის მიღების პროცედურა.

4.13 თუ დაშვება გაცემულია იმ პირობით, რომ უნდა დაესწროს „მაგთიკომის“ წარმომადგენელი, „კომპანიის“ სპეციალისტმა მას უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. თუ „კომპანიის“ წარმომადგენელი დააგვიანებს 15 წუთზე მეტს, ნებართვა ჩაითვლება ძალადაკარგულად და „კომპანიას“ არ დაუბრუნდება (ან თუ გადახდილი არ აქვს დაერიცხება) დაშვების საფასური.

4.14 აპარატურის განთავსების/დემონტაჟის აუცილებლობის შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს პროექტი „მაგთიკომთან“.

4.15 „მაგთიკომი“ უფლებას იტოვებს შეცვალოს ან დამატებით შეიმუშაოს ინფრასტრუქტურასთან დაშვების პირობები. ასეთ შემთხვევაში, „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „კომპანიას“ ასეთი წესების ძალაში შესვლის თაობაზე და იგი სავალდებულო იქნება „კომპანიის“ მხრიდან შესასრულებლად.

4.16 „კომპანიის“ წარმომადგენლის დაშვების ყოველი შემთხვევა აღირიცხება „მაგთიკომის“ მიერ, მათ შორის, აღრიცხულ იქნება ისეთი ინფორმაცია, როგორიც არის წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაშვების

მიზანი და შესრულებული სამუშაო. ნებისმიერი აღნიშნული ქმედების განხოციელების შემდგომ, „მაგთიკომი“ გაუგზავნის „კომპანიას“ დოკუმენტს, სადაც აღწრილი იქნება წარმომადგენლის ვინაობა, დაშვების მიზანი და შესრულებული სამუშაო. „კომპანია“ ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში ხელმოწერით დაადასტუროს დოკუმენტი და დაუბრუნოს „მაგთიკომს“. თუ „კომპანია“ აღნიშნულ ვადაში არ დაუბრუნებს ხელმოწერილ დოკუმენტს ან არ წარუდგენს დასაბუთებულ შენიშვნას, მიიჩნევა რომ „კომპანია“ ეთანხმება დოკუმენტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

5 „მოწყობილობების“ განთავსება, „თანალოკაციის საგნის“ გამოყენების დაწყება

5.1 „მოწყობილობების“ განთავსებისა და „თანალოკაციის საგნის“ გამოყენების დაწყების ვადა შეთანხმდება „მხარეთა“ მიერ. თუ შეთანხმებული ვადის დაცვა შეუძლებელი არ გახდება უამინდობის ან სხვა გარემოებების გამო.

5.2 თანალოკაციის მომსახურებაზე შეკვეთის ამ ფორმაში დეტალურად უნდა იყოს ასახული:

5.2.1 მოთხოვნილი თანალოკაციის მომსახურების ადგილმდებარეობა;

5.2.2 მოთხოვნილი დგარის ზომები ან/და დგარში მოთხოვნილი სივრცე დგარის შესაბამის ერთეულებში;

5.2.3 ყველა იმ მოწყობილობის ჯამური წონა კილოგრამებში, რომელთა დამონტაჟებაც მოცემულ ადგილზეა მოსალოდნელი;

5.2.4 ყველა იმ მოწყობილობის ჯამური ელექტრომოხმარების მოთხოვნები (ამპერებში), რომელთა დამონტაჟებაც მოცემულ ადგილზეა მოსალოდნელი;

5.2.5 ყველა იმ მოწყობილობის ჯამური თბოგაცემა (BTU), რომელთა დამონტაჟებაც მოცემულ ადგილზეა მოსალოდნელი

5.2.6 დგარის ის სივრცე დგარის შესაბამის ერთეულებში, რომელიც თითოეული დასამონტაჟებელი კომპონენტისთვის არის საჭირო;

5.2.7 თითოეული დასამონტაჟებელი კომპონენტის წონა კილოგრამებში;

5.2.8 თითოეული დასამონტაჟებელი კომპონენტის ელექტრომოხმარების მოთხოვნები (ამპერებში)

5.2.9 თითოეული დასამონტაჟებელი კომპონენტის ინდივიდუალური თბოგაცემა BTU-ებში; და

5.2.10 თითოეული იმ კომპონენტის მწარმოებელი, მოდელის ნომერი და სერიული ნომერი, რომლის დამონტაჟებაც იგეგმება.

5.3 **თანალოკაციის ფართში** ან სხვა ნებისმიერ წერტილში, განთავსებული **კონტრაჰენტის** კუთვნილი აპარატურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

5.3.1 დენის წყარო - 48V DC;
5.3.2 დენის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს - 30A-ს;
5.3.3 აპარატურის გაბარიტების სტანდარტი 19“ (EIA-310 Standard 19″ Rack), მაქს. სიღრმე 60 სმ;
5.3.4 აპარატურის გაგრილების კონტური Front-to-back airflow;
5.3.5 რეკში დაკავებული UNIT-ების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს - 10-ს;
5.3.6 ურთიერთჩართვის ფიზიკური ინტერფეისი: IEEE 802.3 Ethernet 1/10/100 GE ოპტიკური პორტი;
5.3.7 მოწყობილობის და შეერთებების მარკირება: ANSI/TIA-606-B სტანდარტების შესაბამისად;
5.3.8 ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ODF პანელი: 19″, 12/24/48 ოპტიკური ღეროსთვის, 1 Rack Unit. CE, ISO, RoHS სერტიფიცირებით;
5.3.9 აპარატურა უნდა იყოს CE მარკირებით.

6 „თანალოკაციის საგნის“ გამოთავისუფლება

6.1 „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევაში „მხარეები“ სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, „კანდიდატი“ ვალდებულია უზრუნველყოს „თანალოკაციის საგნის“ გამოთავისუფლება, და „კანდიდატის“ მიერ „თანალოკაციის საგანზე“ განხორციელებული ცვლილებების შეწყვეტის თარიღისთვის მოხსნა. იმ პირობით, თუ ასეთი ცვლილებების მოხსნა შესაძლებელია „თანალოკაციის დაზიანების გარეშე ან მისი ფუნქციის ან სარგებლიანობის დაქვეითების გარეშე. თუ „მოწყობილობების“ დამონტაჟება „მაგთიკომის“ ან მასთან შეთანხმებული პირების მიერ იყო განხორციელებული, „კანდიდატმა“ უნდა უზრუნველყოს „დაშვების საგნის“ „მაგთიკომის“ ან მასთან შეთანხმებული პირების მეშვეობით გამოთავისუფლება „კანდიდატის“ ხარჯზე, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული. „თანალოკაციის საგნის“ „კანდიდატის“ მიერ გამოთავისუფლება შესაძლებელია მაშინ, როცა ასეთი პროცედურა მხარეთა მიერ არის შეთანხმებული.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“ „თანალოკაციის საგანს“ შეთანხმებული თარიღისთვის ან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის თარიღისთვის ვერ გამოათავისუფლებს, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია თავად განახორციელოს „მოწყობილობების“ დემონტაჟი, „კანდიდატის“ ხარჯზე. გაწეული ხარჯების ან

დანართი - თანალოკაცია

მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, „მაგთიკომის“ მიერ მოთხოვნილი თანხა „კანდიდატმა“ უნდა აანაზღაუროს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

7 ფასები

7.1 „თანალოკაციის“ მომსახურების საფასური:

მომსახურება	ყოველთვიური გადასახადი ლარი დღგ-ის გარეშე
თანალოკაციის ფართით ავტორიზებული პირის დაშვება ქსელის ობიექტებსა (მათ შორის ანძებზე) და შენობა-ნაგებობებზე დაშვების მსურველის აპარატურის განსათავსებლად	1144.07

7.2 „თანალოკაციის“ მომსახურების საფასური არ მოიცავს:

7.2.1 ერთჯერადი საფასურს, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებული იქნება თანალოკაციის ფართის გამოყოფასთან, დამხმარე მოწყობილობებისა და მომსახურებების (მაგ., ელექტრომომარაგების) ამოქმედებასთან და ა. შ.

7.2.2 ყოველთვიურ საფასურს, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებული იქნება დამხმარე მოწყობილობებისა და მომსახურებების (მაგ., ელექტრომომარაგების) გამოყენების ხარჯებთან და ა. შ.

7.2.3 „თანალოკაციის საგანზე“ დაშვების საფასურს, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებული იქნება თანალოკაციის ფართზე დაშვების უზრუნველყოფასთან (მაგ., ნებართვის გაცემა, და მომსახურება) და თანალოკაციის ფართზე „მაგთიკომის“ პერსონალის თანხლებით დაშვებასთან.

7.3 ყველა საფასური დადგინდება „თანალოკაციის საგნის“ განსაზღვრის შემდეგ, მათი ოდენობის გაანგარიშებაზე კომისიის გადაწყვეტილებით მოთხოვნების დაცვით, „მხარეთა“ შეთანხმებით.

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - თანალოკაცია

თანალოკაციის მისამართები:

1. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16
2. თბილისი, გოთუას ქ. N26;
3. თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქ. N5;
4. თბილისი, გლდანი, მ/რ ა, კორპუსი 1-ის მიმდ.;
5. თბილისი, დასახლება სანზონა, კორპუსი 8;
6. თბილისი, დიღმის მასივი, II კვ., კორპუსი 19;
7. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N152;
8. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., II კვ., კორპუსი 26ბ;
9. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45;
10. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N7;
11. თბილისი, რევაზ თაბუკაშვილის ქ. N47;
12. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N38ვ;
13. თბილისი, ვლადიმერ ლობჟანიძის ქ. N2;
14. თბილისი, ვარკეთილი, III მასივი, IV კვ, კორპუსი 5;
15. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. 40ა;
16. კასპი, კოჯრის ქ. N19;
17. ხაშური, 9 აპრილის ქ. N36;
18. გორი, ამილახვრის ქ. N23;
19. ქუთაისი, გაპონოვის ქ. N11;
20. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N39, ნაკვეთი 1-3;
21. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N18, ნაკვეთი 2;
22. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N88;
23. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N8;
24. წყალტუბო, ჭავჭავაძის ქ. N5-ის მიმდ.;
25. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.;
26. თელავი, აჩინებულის ქ.;
27. თიანეთი, 300 არაგველის ქ.;
28. გურჯაანი, იოსებ ნონეშვილის გამზ. N7;
29. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქ. N65ის მიმდ.;
30. ბაკურციხე, სოფელი ბაკურციხე;
31. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.;
32. დედოფლისწყარო, სკოლის შეს. N3;
33. განჯალა, სოფელი განჯალა;
34. დუშეთი, დავით აღმაშენებლის ქ. N104;
35. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. N1;
36. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ. N19;
37. სადახლო, სოფელი სადახლო;
38. წითელი ხიდი, სოფელი კირაჩ-მუღანლო;
39. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N62;
40. ზესტაფონი, ზაქარიაძის ქ. N21ა.